



2021 წ.

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს
კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
საქართველოს კანონის პროექტის
მიმოხილვა (II წარღბენა)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge



პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, დეკემბერი, 2021 წ.

სარჩევი

ძირითადი მაჩვენებლები.....	1
სახელმწიფო ბიუჯეტის ზოგადი მიმოხილვა.....	1
„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრები.....	4
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები	8
შემოსავლები.....	9
არაფინანსური აქტივების კლება.....	13
ფინანსური აქტივების კლება.....	13
ვალდებულებების ზრდა	14
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები	16
ხარტები.....	20
არაფინანსური აქტივების ზრდა.....	23
ფინანსური აქტივების ზრდა.....	24
ვალდებულებების კლება	25
ხარტებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია.....	25
საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	27
სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო	30
ნაშთის ცვლილება.....	30
საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო.....	31
დანართები.....	32
დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი).....	32
დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი).....	33
დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი).....	34


საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტი პროგრამულ ფორმატზე გადავიდა 2012 წლიდან, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების გაერთიანებას პრიორიტეტების მიხედვით. აღნიშნულის გათვალისწინებით მონაცემების ანალიზი უმთავრეს შემთხვევებში განხორციელებულია 2012 წლიდან.

ძირითადი მაჩვენებლები

სახელმწიფო ბიუჯეტის ზოგადი მიმოხილვა

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 18,099.1 მლნ ლარით, რაც „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დამტკიცებულ გეგმას (17,933.0 მლნ ლარს) აღემატება 166.1 მლნ ლარით (0.9%-ით), ხოლო აღნიშნული კანონის საწყისი¹ ვარიანტით განსაზღვრულ მოცულობას - 1,341.0 მლნ ლარით (8.0%-ით). რაც შეეხება გადასახდელებს, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით გადასახდელების წლიური გეგმა განსაზღვრულია 19,796.1 მლნ ლარის ოდენობით, რაც 297.4 მლნ ლარით (1.5%-ით) მეტია 2021 წლის დამტკიცებულ გეგმაზე (19,498.7 მლნ ლარი), ხოლო 1,411.6 მლნ ლარით (7.7%-ით) აღემატება 2021 წლის საწყისი ბიუჯეტით განსაზღვრულ მოცულობას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2012-2021 წლებში.



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2012-2021 წლებში (მლრდ ლარი).

რაც შეეხება შემოსულობებს კომპონენტების მიხედვით, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, შემოსულობების 2 კომპონენტი შეეხო ცვლილება. კერძოდ, შემოსავლების კომპონენტი იზრდება 300.0 მლნ ლარით (2.4%-ით) და 12,549.0 მლნ ლარის ოდენობით არის განსაზღვრული, ხოლო ვალდებულებების ზრდის კომპონენტი მცირდება 133.9 მლნ ლარით და 4,990.1 მლნ ლარს შეადგენს. რაც შეეხება დანარჩენ 2 კომპონენტს, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, უცვლელია არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტების მაჩვენებლები და შესაბამისად შეადგენს 350.0 მლნ ლარს და 210.0 მლნ ლარს.

2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, გადასახდელების ოთხი კომპონენტიდან იცვლება სამი მათგანი (ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის მაჩვენებელი უცვლელია - 316.8 მლნ ლარი). კერძოდ, ხარჯების კომპონენტი დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 333.1 მლნ ლარით (2.4%-ით) და შეადგენს 14,232.1 მლნ ლარს, არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი მცირდება 20.8 მლნ ლარით (0.8%-ით) და შეადგენს 2,525.7 მლნ ლარს, ხოლო ვალდებულებების კლების კომპონენტი მცირდება 15.0 მლნ ლარით (0.5%-ით) და შეადგენს 2,721.6 მლნ ლარს.

¹ წარმოდგენილ დოკუმენტში:

2021 წლის საწყისი ბიუჯეტი/გეგმა გულისხმობს 2020 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დამტკიცებულ ბიუჯეტს/გეგმას;

2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი/გეგმა გულისხმობს 2021 წლის ივლისში „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად დამტკიცებულ ბიუჯეტს/გეგმას;


2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი გულისხმობს „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის როგორც თავდაპირველ, ასევე, გადამუშავებულ ვარიანტს, ვინაიდან აღნიშნული პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში, თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით, არ არის შეცვლილი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების მაჩვენებლები.

	2021 საწყისი	2021 დამტკიცებული	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამტკიცებული		2021 პროექტი / 2021 საწყისი	
				სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსულობები	16,758.1	17,933.0	18,099.1	166.1	0.9%	1,341.0	8.0%
შემოსავლები	11,179.2	12,249.0	12,549.0	300.0	2.4%	1,369.8	12.3%
არაფინანსური აქტივების კლება	150.0	350.0	350.0	0.0	0.0%	200.0	133.3%
ფინანსური აქტივების კლება	150.0	210.0	210.0	0.0	0.0%	60.0	40.0%
ვალდებულებების ზრდა	5,278.9	5,124.0	4,990.1	-133.9	-2.6%	-288.8	-5.5%
გადასახდელები	18,384.5	19,498.7	19,796.1	297.4	1.5%	1,411.6	7.7%
ხარჯები	12,758.3	13,898.9	14,232.1	333.1	2.4%	1,473.7	11.6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,416.9	2,546.4	2,525.7	-20.8	-0.8%	108.8	4.5%
ფინანსური აქტივების ზრდა	402.7	316.8	316.8	0.0	0.0%	-85.9	-21.3%
ვალდებულებების კლება	2,806.6	2,736.6	2,721.6	-15.0	-0.5%	-85.0	-3.0%
ნაშთის ცვლილება	-1,626.4	-1,565.7	-1,697.0				

ცხრილი 1: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგადასახადო შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის მიმოხილვა. საგადასახადო შემოსავლებზე, 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, შემოსავლების 90.3%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 61.7% მოდის. 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 11,062.6 მლნ ლარიდან 11,362.6 მლნ ლარამდე, 300.0 მლნ ლარით (2.7%-ით), არის გაზრდილი და პროექტით განსაზღვრული შემოსავლების 90.5%-ს და მთლიანი შემოსულობების 62.8%-ს წარმოადგენს.

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები



დიაგრამა 2: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი).

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, საგადასახადო შემოსავლების ზრდა გადასახადის ყველა სახეს შეეხო. კერძოდ, ყველაზე მნიშვნელოვნად იმატებს საშემოსავლო გადასახადი (95.0 მლნ ლარით), ასევე იზრდება დღგ - 60.8 მლნ ლარით, მოგების გადასახადი - 50.0 მლნ ლარით, აქციზი - 25.0 მლნ ლარით და იმპორტის გადასახადი - 1.3 მლნ ლარით. რაც შეეხება სხვა გადასახადს, რომლის გეგმური მოცულობა განსაზღვრული იყო 80.0 მლნ ლარის დონეზე, გაზრდილია 148.0 მლნ ლარამდე.


ვალდებულებების ზრდის კომპონენტთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, ვალდებულებების ზრდა შემოსულობების 28.6%-ს შეადგენს. 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ვალდებულებების ზრდის კომპონენტი 5,124.0 მლნ ლარიდან 4,990.1 მლნ ლარამდე, 133.9 მლნ ლარით (2.6%-ით) არის შემცირებული და პროექტით განსაზღვრული შემოსულობების 27.6%-ს წარმოადგენს.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, საგარეო ვალდებულებების ზრდის კომპონენტი იზრდება 16.1 მლნ ლარით (ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების 29.0 მლნ ლარით ზრდის და საინვესტიციო კრედიტების 12.9 მლნ ლარით შემცირების გავლენით). რაც შეეხება საშინაო ვალდებულებებს, სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით საშინაო განისაზღვრა, ნაცვლად 2021 წლის დადებითი ბიუჯეტით განსაზღვრული -150.0 მლნ ლარისა.

	2021 დამტ.	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამტ. ცვლილება	
			სხმაობა	%-ული ცვლილება
ვალდებულებების ზრდა	5,124.0	4,990.1	-133.9	-2.6%
საგარეო	5,274.0	5,290.1	16.1	0.3%
ევრობონდები	1,713.2	1,713.2	0.0	0.0%
ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტი	2,171.0	2,200.0	29.0	1.3%
საინვესტიციო კრედიტი	1,389.8	1,376.9	-12.9	-0.9%
საშინაო	-150.0	-300.0	-150.0	100.0%
ფასიანი ქაღალდების გამოშვება	-150.0	-300.0	-150.0	100.0%

ცხრილი 2: ვალდებულების ზრდის კომპონენტი 2021 წელს (მლნ ლარი, %) ვალდებულებების წმინდა ზრდა -300.0 მლნ ლარით დადებითი ბიუჯეტით განსაზღვრული -150.0 მლნ ლარისა.

გადასახდლების ყველაზე დიდი კომპონენტი, ხარჯები, 2021 წლის დადებითი ბიუჯეტის მიხედვით განსაზღვრულია 13,898.9 მლნ ლარის ოდენობით, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდლების 71.3%-ს შეადგენს. 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით ხარჯები იზრდება 333.1 მლნ ლარის (2.4%-ით) ოდენობით, 14,232.1 მლნ ლარამდე (სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდლების 71.9%).



დიაგრამა 3: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები (მლნ ლარი).

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით ხარჯების ზრდა ძირითადად მოდის სოციალური უზრუნველყოფის მუხლზე, რომელიც იზრდება 348.0 მლნ ლარით. გარდა ამისა, ზრდა შეეხო საქონელი და მომსახურების მუხლს 52.9 მლნ ლარით, სხვა ხარჯებს - 33.0 მლნ ლარით, შრომის ანაზღაურებას - 4.0 მლნ ლარით და სუბსიდიებს - 0.3 მლნ ლარით. რაც შეეხება შემცირებებს, პროცენტის მუხლი შემცირებულია 70.0 მლნ ლარით, ხოლო გრანტები - 35.0 მლნ ლარით.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს², „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საოპერაციო სალდო განსაზღვრულია -1,649.9 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო მთლიანი სალდო - -3,846.3 მლნ ლარით. 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, საოპერაციო სალდო -1,683.0 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო მთლიანი სალდო - -3,858.7 მლნ ლარს.

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით ნაშთის ცვლილება (გამოყენება) შეადგენს -1,565.7 მლნ ლარს, ხოლო 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ნაშთის ცვლილება (გამოყენება) განსაზღვრულია -1,697.0 მლნ ლარის ოდენობით.

² საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე. მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრები

2020 წლის დეკემბერში მიღებული „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანდართული ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს მთავრობის (შემდგომში - მთავრობა) პროგნოზით 2021 წელს მშპ-ის ზრდა 4.3%-ს შეადგენდა, ხოლო პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის (შემდგომში - საბიუჯეტო ოფისი) მიერ 2020 წლის დეკემბერში მომზადებული პროგნოზით კი - 5.2%-ს.

2021 წლის ივლისში მიღებული „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის თანდართული ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტის მიხედვით, მთავრობის პროგნოზით, 2021 წელს მშპ-ის ზრდა 7.7%-ს შეადგენდა, თუმცა საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით მშპ-ის რეალური ზრდა 0.3 პროცენტული პუნქტით (პპ) აღემატებოდა მთავრობის პროგნოზს და მშპ-ის ზრდა 8.0%-ით განისაზღვრება.

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის (როგორც თავდაპირველი, ისე გადამუშავებული ვარიანტის) თანდართული ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტის მიხედვით, 2021 წელს მშპ-ის ზრდა 10.0%-ით განისაზღვრება, თუმცა საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით მშპ-ის რეალური ზრდა 0.4 პპ-ით აღემატება მთავრობის პროგნოზს და მშპ-ის ზრდა 10.4%-ით განისაზღვრება³.

საბიუჯეტო ოფისის აღნიშნული პროგნოზი ემყარება დაშვებას, რომ საქართველოში ეპიდემიოლოგიური ვითარება არ გაუარესდება 2021 წლის მეოთხე კვარტალში, ქვეყანაში მწვანე პასპორტის კონცეფციის ამოქმედება გაზრდის ვაქცინაციის მაჩვენებლებს, რაც ამავდროულად ვირუსის გავრცელების ტემპის შემცირებას შეუწყობს ხელს. დაშვებისას ასევე მხედველობაშია მიღებული, როგორც ქვეყნის შიდა ეკონომიკური აქტივობა, ასევე - საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების⁴ ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებები და პროგნოზი⁵.

მთავრობის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში (2021-2025 წლებისთვის) ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 6.4%-ს შეადგენს, რაც 0.3 პპ-ით აღემატება მათ მიერ 2021 წლის ივლისში გაკეთებულ ანალოგიურ პროგნოზს.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში (2021-2025 წლებისთვის) ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 6.3%-ს შეადგენს, რაც 0.4 პპ-ით აღემატება საბიუჯეტო ოფისის მიერ 2021 წლის ივლისში გამოქვეყნებულ ანალოგიურ მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკურ ზრდაში წარმმართველ როლს კვლავ შიდა მოხმარება და ინვესტიციები ასრულებს.

საინტერესოა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკის კავშირი ეკონომიკურ აქტივობასთან, რომლის შესაფასებლადაც მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ, რამდენად შეესაბამება მიმდინარე ეკონომიკური ზრდა იმ პოტენციალს, რომელიც ქვეყანას თავისი რესურსების ოპტიმალური ათვისებისა და გამოყენების პირობებში ექნებოდა. ყველაზე მართებულია, გაანგარიშდეს ე.წ. პოტენციური მშპ და შედარდეს ფაქტობრივ მდგომარეობას. ეს სხვაობა რეალურ და პოტენციურ მშპ-ს შორის იქნება ე.წ. მშპ-ის გაპი.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლისთვის მშპ-ს მაღალი ზრდის მიუხედავად კვლავ შენარჩუნდება პოტენციური დონისაგან უმნიშვნელო უარყოფითი გადახრა (-0.7%). აღსანიშნავია, რომ ივლისის პროგნოზის მიხედვით 2021 წლისთვის მშპ-ის უარყოფითი გაპის

³ დეტალურად იხილეთ საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული დოკუმენტი „მაკროეკონომიკური პროგნოზები 2021-2025“: http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/Macroeconomic_Forecasts_December_2021_GE_Tsvileba.pdf

⁴ ევროკავშირი, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩინეთი, უკრაინა და აშშ.

⁵ წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის „მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა“ ოქტომბერი 2021“ (WEO October 2021) <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2021/10/12/world-economic-outlook-october-2021>

სიდიდე -1.2% იყო. მოსალოდნელია, რომ საშუალოვადიან პერიოდში უარყოფით გაპს კლების ტენდენცია ექნება, 2022-2025 წლებში გაპი თითქმის დაიხურება და 2025 წლისთვის რეალური მშპ პოტენციურს უმნიშვნელოდ გადააჭარბებს.

მთავრობის პროგნოზის მიხედვით 2021 წელს **ნომინალური მშპ** 58,528.9 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო საბიუჯეტო ოფისის შეფასებით - 59,820 მლნ ლარს. საშუალოვადიან პერიოდშიც, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზი ყოველწლიურად აღემატება მთავრობის პროგნოზს. კერძოდ, მთავრობის პროგნოზის მიხედვით 2025 წლისთვის აღნიშნული 82,715.7 მლნ ლარით განისაზღვრება, ხოლო საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით - 88,437 მლნ ლარით.

რაც შეეხება **ნომინალურ მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე**, მისი საპროგნოზო მოცულობა 2021 წლისთვის, მთავრობის პროგნოზით, **15,722.1 ლარს** შეადგენს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით კი - 16,044 ლარს. საშუალოვადიან პერიოდში, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზი აღემატება მთავრობის პროგნოზს. კერძოდ, მთავრობის პროგნოზის მიხედვით 2025 წლისთვის აღნიშნული 22,219.2 ლარით განისაზღვრება, ხოლო საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით - 23,719 ლარით.

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილია⁶ მაკროეკონომიკური პარამეტრების შემდეგი მაქსიმალური ზღვრები:

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის⁷ დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება – **არაუმეტეს 3 პროცენტისა; (ე.წ. ბალანსის/დეფიციტის წესი)**
- საქართველოს მთავრობის ვალის⁸ მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება – **არაუმეტეს 60 პროცენტისა (ე.წ. ვალის წესი).**

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევაში არის შესაძლებელი სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დადგენილი ზღვრული მოცულობების მიღმა დაგეგმვა ან/და დაგეგმილი პარამეტრების შესრულება:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების და აღნიშნული მდგომარეობის შედეგად დამდგარი ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების საჭიროების შემთხვევაში;

ბ) ეკონომიკური ზრდის შენელების/რეცესიის შემთხვევაში – თუ, საჭარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ზედიზედ ბოლო 2 კვარტალის რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის კვარტალებთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით დაბალია, ვიდრე გასული 10 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თუ არ დადგა ზემოაღნიშნული 2 პირობიდან ერთ-ერთი პირობა მაინც, ამ შემთხვევაში ორგანული კანონი არ ითვალისწინებს დამატებით პროცედურებს ზღვრული მოცულობების მიღმა დაგეგმვის შესაძლებლობის შესახებ. კერძოდ, საგამონაკლისო შემთხვევებით განსაზღვრული მაკროეკონომიკური პარამეტრების დაგეგმვის შემდგომ წლებში, ზემოაღნიშნული ორგანული კანონი არ ითვალისწინებს ამავე მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვარს მიღმა დადგენის პროცედურებს საგამონაკლისო შემთხვევების არ არსებობის პირობებში.

2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მე-14 მუხლის⁹ მიხედვით, 2021 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო განსაზღვრულია „ეკონომიკური თავისუფლების

⁶ მუხლი 2. მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დადგენა

⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი არის ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი.

⁸ აღნიშნული მიზნებისთვის საქართველოს მთავრობის ვალი მოიცავს: ა) „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალს, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა; ბ) საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალს, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან აღებული ვალისა. აღნიშნული ზღვარი ითვალისწინებს აგრეთვე „საჭარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჭარო და კერძო თანამშრომლობის ძირითადი პრინციპებისა და საჭარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმების შესაბამისი პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებას.

⁹ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ზღვრული პარამეტრების პროგნოზი


შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ზღვარს მიღმა - 3,971.1 მლნ ლარით, რაც მთავრობის მიერ პროგნოზირებული მშპ-ის 6.9%-ს შეადგენს. რაც შეეხება მთავრობის ვალს, 2021 წლის ბოლოსთვის მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა განისაზღვრა მშპ-ის 53.9%-ით, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების საორიენტაციო შეფასება (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) - მშპ-ის 0.7%-ით – ჯამი: მშპ-ის 54.6%.

რაც შეეხება 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტს (გადამუშავებული ვარიანტი), პროექტის მე-14 მუხლის მიხედვით, 2021 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო განისაზღვრება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ზღვარს მიღმა - 3,928.0 მლნ ლარით, რაც მთავრობის მიერ პროგნოზირებული მშპ-ის 6.7%-ს შეადგენს. რაც შეეხება მთავრობის ვალს, 2021 წლის ბოლოსთვის მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა განისაზღვრა მშპ-ის 51.1%-ით, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების შეფასება (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) - მშპ-ის 0.6%-ით – ჯამი: მშპ-ის 51.7%.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით უცვლელია სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდოს როგორც ნომინალური, ასევე, მშპ-თან მისი ფარდობის მაჩვენებელი, ხოლო მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი შემცირებულია 52.5%-დან 51.1%-მდე.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის მიხედვით, 2021 წელს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის პროცენტული შეფარდება მშპ-თან 6.7%-ს შეადგენს, ხოლო მთავრობის ვალი მშპ-ის 51.5%-ით განისაზღვრება (საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების გარდა), რაც 0.4 პპ-ით მეტია მთავრობის პროგნოზთან შედარებით.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ორგანული კანონით დადგენილი ე.წ. ბიუჯეტის ბალანსის/დეფიციტის წესი, არსებული რედაქციით, მოქმედებს 2019 წლიდან, ხოლო 2019 წლამდე დეფიციტის წესი განისაზღვრებოდა, როგორც ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის (უარყოფითი მთლიანი სალდო) ფარდობა მშპ-თან. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2015-2021 წლებში საქართველოს ერთიანი ბიუჯეტისა და ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან.



დიაგრამა 4: სახელმწიფოს ერთიანი და ნაერთი ბიუჯეტების დეფიციტები და მათი შეფარდება მშპ-თან 2015-2021 წლებში (მლნ ლარი, %).


რაც შეეხება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების მეორე მაქსიმალურ ზღვარს, ზემოაღნიშნული ორგანული კანონით დადგენილი ე.წ. ვალის წესი არსებული რედაქციით, მოქმედებს 2019 წლიდან, ხოლო 2019 წლამდე ის განისაზღვრებოდა, როგორც სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან.

2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული მთავრობის ვალის მშპ-თან პროცენტული ფარდობიდან (53.9%-დან) 43.4% მოდის მთავრობის საგარეო ვალზე, ხოლო 10.5% - მთავრობის საშინაო ვალზე. 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის თავდაპირველი ვარიანტით განსაზღვრული მთავრობის ვალის მშპ-თან პროცენტული ფარდობიდან (52.5%-დან) 42.5% მოდის მთავრობის საგარეო ვალზე, ხოლო 10.0% - მთავრობის საშინაო ვალზე. ხოლო, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრული მთავრობის ვალის მშპ-თან პროცენტული ფარდობიდან (51.1%-დან) 41.1% მოდის მთავრობის საგარეო ვალზე, ხოლო 10.0% - მთავრობის საშინაო ვალზე.

მთავრობის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 29,905.2 მლნ ლარით განისაზღვრა¹⁰, საიდანაც მთავრობის საგარეო ვალის საპროგნოზო მოცულობა 24,061.9 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო მთავრობის საშინაო ვალის საპროგნოზო მოცულობა 5,843.3 მლნ ლარის ოდენობით არის განსაზღვრული.

რაც შეეხება სახელმწიფო ვალს, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვარიანტის მიხედვით გათვალისწინებულია, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის ნაშთის საპროგნოზო მოცულობა 31,318.6 მლნ ლარის ოდენობით (მ.შ. საგარეო - 25,513.3 მლნ ლარი, საშინაო - 5,805.3 მლნ ლარი), შესაბამისად სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მოცულობა 2021 წლისთვის პროგნოზირებული მშპ-ის 53.5%-ს წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ვალისა და მთავრობის ვალის მოცულობა და მათი შეფარდება მშპ-თან 2012-2021 წლებში¹¹.



დიაგრამა 5: მთავრობის ვალი, სახელმწიფო ვალი და მათი შეფარდება მშპ-თან 2012-2021 წლებში (მლნ ლარი, %).

¹⁰ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის (II ნარდგენა) მთავრობის ვალის დანართის მიხედვით.

¹¹ დიაგრამაში წარმოდგენილი ინფორმაცია არ მოიცავს ისტორიული ვალის პირობით მოცულობას 672 მლნ ლარის ოდენობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების საწყისი გეგმა განსაზღვრული იყო **16,758.1 მლნ ლარის** ოდენობით, ხოლო დამტკიცებული გეგმა **17,933.0 მლნ ლარს შეადგენს**. „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით, შემოსულობების გეგმა განისაზღვრა **18,099.1 მლნ ლარის ოდენობით**, რაც დამტკიცებულ მოცულობას აღემატება 166.1 მლნ ლარით (0.9%-ით), ხოლო საწყის გეგმას - 1,341.0 მლნ ლარით (8.0%-ით).


2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით მატება მოდის შემოსავლების კომპონენტზე (300.0 მლნ ლარის ოდენობით, 2.4%-ით). რაც შეეხება შემოსულობების დანარჩენ კომპონენტებს, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები 133.9 მლნ ლარით (2.6%-ით) იკლებს, ხოლო შემოსულობები არაფინანსური და ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან - უცვლელია.

	2021 საწყისი	2021 დამტკიცებული	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამტკიცებული		2021 პროექტი / 2021 საწყისი	
				სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
სულ შემოსულობები	16,758.1	17,933.0	18,099.1	166.1	0.9%	1,341.0	8.0%
შემოსავლები	11,179.2	12,249.0	12,549.0	300.0	2.4%	1,369.8	12.3%
გადასახადები	10,342.3	11,062.6	11,362.6	300.0	2.7%	1,020.3	9.9%
გრანტები	286.9	386.4	386.4	0.0	0.0%	99.5	34.7%
სხვა შემოსავლები	550.0	800.0	800.0	0.0	0.0%	250.0	45.5%
არაფინანსური აქტივების კლება	150.0	350.0	350.0	0.0	0.0%	200.0	133.3%
ფინანსური აქტივების კლება	150.0	210.0	210.0	0.0	0.0%	60.0	40.0%
ვალდებულებების ზრდა	5,278.9	5,124.0	4,990.1	-133.9	-2.6%	-288.8	-5.5%
საგარეო	5,278.9	5,274.0	5,290.1	16.1	0.3%	11.2	0.2%
საშინაო	0.0	-150.0	-300.0	-150.0	100.0%	-300.0	

ცხრილი 3: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა 2012-2021 წლებში




დიაგრამა 6: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, 2012-2020 წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, შემოსულობების 2 ძირითადი კომპონენტის - შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის, მატების გავლენით. ამასთან, ამავე პერიოდში თუ განვიხილავთ მათ წილს შემოსულობებში, შემოსავლების წილი კლების, ხოლო ვალდებულებების ზრდის წილი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2020 წლის მაჩვენებლებთან შედარებით 2021 წლის როგორც საწყისი, ისე დამტკიცებული გეგმით აღნიშნული ტენდენცია შეიცვალა შემოსავლების ზრდისა და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების შემცირების გავლენით (შემოსავლების წილი გაიზარდა, ხოლო ვალდებულებების ზრდის წილი

შემცირდა). რაც შეეხება 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით შემოსულობებში აღნიშნული კომპონენტების წილებს, 2021 წლის გეგმასთან შედარებით, შემოსავლების წილი კიდევ მცირედით გაზრდილია - 68.3%-დან 69.3%-მდე, ხოლო ვალდებულებების ზრდის წილი შემცირებულია 28.6%-დან 27.6%-მდე.

შემოსულობებში 4 ძირითადი კომპონენტის პროცენტული განაწილების საჩვენებლად, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2021 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების კომპონენტების პროცენტული განაწილება.



დიაგრამა 7: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურის დინამიკა 2012-2021 წლებში (%).

შემოსავლები

2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა 12,249.0 მლნ ლარს შეადგენს, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, შემოსავლების გეგმა გაზრდილია 12,549.0 მლნ ლარამდე (2.4%-ით). აღნიშნული მატება მთლიანად უკავშირდება საგადასახადო შემოსავლებს, რომელიც მიმდინარე წლის განახლებული მაკროეკონომიკური პარამეტრების (ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლების) გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. რაც შეეხება გრანტებსა და სხვა შემოსავლებს, აღნიშნული შემოსავლები უცვლელია.

- მიმდინარე წლის აპრილ-სექტემბერში მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების საფუძველზე საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 2.7%-იანი მატებით¹²: წარმოდგენილი კანონპროექტით საგადასახადო შემოსავლები დამტკიცებულ გეგმასთან (11,062.6 მლნ ლარი) მიმართებაში იზრდება 300.0 მლნ ლარით და შეადგენს 11,362.6 მლნ ლარს.

	2021 საწიისი	2021 დამტკიცებული	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამტკიცებული		2021 პროექტი / 2021 საწიისი	
				სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
საგადასახადო შემოსავლები	10,342.3	11,062.6	11,362.6	300.0	2.7%	1,020.3	9.9%
საშემოსავლო გადასახადი	3,315.0	3,405.0	3,500.0	95.0	2.8%	185.0	5.6%
მოგების გადასახადი	951.0	951.0	1,001.0	50.0	5.3%	50.0	5.3%
დღგ	4,347.3	4,746.6	4,807.4	60.8	1.3%	460.1	10.6%
აქციზი	1,582.0	1,800.0	1,825.0	25.0	1.4%	243.0	15.4%
იმპორტის გადასახადი	77.0	80.0	81.3	1.3	1.6%	4.3	5.5%
სხვა გადასახადები	70.0	80.0	148.0	68.0	85.0%	78.0	111.4%

ცხრილი 4: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი, %).

2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების ზრდა გადასახადის ყველა სახეს შეეხო. კერძოდ, ყველაზე მნიშვნელოვნად იმატებს საშემოსავლო


¹² საქართველოს მთავრობის განმარტებით, 2021 წლის ეკონომიკური ზრდის განახლებული პროგნოზი განისაზღვრა 10.0%-ის ოდენობით, ხოლო განვლილი პერიოდის ფაქტობრივი მაჩვენებლების და არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებელი 8.0%-ს შეადგეს.

გადასახადი (95.0 მლნ ლარით), დღგ (60.8 მლნ ლარით) და მოგების გადასახადი (50.0 მლნ ლარით), იზრდება, ასევე, აქციზი (25.0 მლნ ლარით) და მცირედით (1.3 მლნ ლარით) - იმპორტის გადასახადიც. რაც შეეხება სხვა გადასახადს, რომლის გეგმური მოცულობა განსაზღვრული იყო 80.0 მლნ ლარის დონეზე, გაზრდილია 148.0 მლნ ლარამდე.

2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა, 2021 წლის საწყისი გეგმის მარჯვენებელთან შედარებით, გაზრდილია 1,020.3 მლნ ლარით (9.9%-ით). ზრდა ეხება ყველა სახის გადასახადს, მ.შ. ყველაზე მნიშვნელოვნად იმატებს დღგ (460.1 მლნ ლარით), აქციზი (243.0 მლნ ლარით) და საშემოსავლო გადასახადი (185.0 მლნ ლარით). იზრდება, ასევე, მოგებისა და იმპორტის გადასახადები (შესაბამისად, 50.0 მლნ ლარით და 4.3 მლნ ლარით).

გადასახადების საპროგნოზო მოცულობა, ასევე, იზრდება გასული წლების ფაქტობრივ მარჯვენებელთან შედარებითაც.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა 2012-2021 წლებში



დიაგრამა 8: სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

საგადასახადო შემოსავლების ანალიზისას, საინტერესოა განხილულ იქნას ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები. ბიუჯეტის ცვლილების პროექტის თანდართული ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტის მიხედვით, 2021 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მარჯვენებელი 13,271.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2021 წლის ივლისში პროგნოზირებულ მარჯვენებელზე (12,922.0 მლნ ლარი) 2.7%-ით მეტია.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი		2021 პროგნოზი (08ლისი)	2021 პროექტი (პროგნოზი)	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი
		გადასახადები	13,176	13,289	15,254	16,604	18,077
არაპირდაპირი	8,093	8,080	9,080	10,002	10,732	11,480	
პირდაპირი	5,083	5,209	6,174	6,602	7,345	8,243	
მთლიანი	გადასახადები	12,922	13,271	15,558	16,738	18,162	19,666
	არაპირდაპირი	7,529	7,734	8,805	9,466	10,248	11,078
	პირდაპირი	5,393	5,537	6,753	7,272	7,914	8,588

ცხრილი 5: ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2021-2025 წლებში (მლნ ლარი).


საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით¹³, 2021 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 13,289 მლნ ლარს შეადგენს, რაც 113 მლნ ლარით აღემატება საბიუჯეტო ოფისის მიერ 2021 წლის ივლისში

¹³ დეტალურად იხილეთ საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული დოკუმენტი „მაკროეკონომიკური პროგნოზები 2021-2025“: http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/Macroeconomic_Forecasts_December_2021_GE_Tsviloba.pdf

გაკეთებულ 2021 წლის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მარჯვენებელს და 18 მლნ ლარით მეტია 2021 ბიუჯეტის ცვლილების პროექტით წარმოდგენილ მთავრობის პროგნოზთან (13,271 მლნ ლარი) შედარებით - მ.შ. არაპირდაპირი გადასახადები აღემატება 346 მლნ ლარით, ხოლო პირდაპირი გადასახადები ჩამორჩება 328 მლნ ლარით).

რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურას პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების მიხედვით, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების მიხედვით, გადასახადების ჯამური მოცულობის 58.3%-ს არაპირდაპირი გადასახადები შეადგენს, ხოლო 41.7%-ს - პირდაპირი გადასახადები. აღნიშნული პროცენტული გადანაწილება უცვლელია 2021 წლის როგორც დამტკიცებული, ისე საწყისი ბიუჯეტის საპროგნოზო მონაცემებთან შედარებით.

პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები და მათი შეფარდება მშპ-თან 2012-2021 წლებში




დიაგრამა 9: პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები და მათი შეფარდება მშპ-თან 2012-2021 წლებში (მლნ ლარი, %).

• 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით გრანტების საპროგნოზო სიდიდე არ შეცვლილა და განსაზღვრულია 2021 წლის დამტკიცებული გეგმის მარჯვენებლის დონეზე, 386.4 მლნ ლარის ოდენობით. მ.შ. ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების მოცულობა შეადგენს 187.0 მლნ ლარს, საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტები - 49.5 მლნ ლარს, ხოლო სსიპ-ებიდან გრანტები - 150.0 მლნ ლარს.

გრანტების საპროგნოზო სიდიდე 2021 წლის საწყის გეგმურ მარჯვენებელთან შედარებით გაზრდილია 99.5 მლნ ლარით, კანონმდებლობით დადგენილი წესით სსიპ-ების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადასაცემი სახსრების 100.0 მლნ ლარით ზრდის ხარჯზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების სახით შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში.

გრანტების დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში



დიაგრამა 10: გრანტების დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში (მლნ ლარი)

- მსგავსად გრანტებისა, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობაც უცვლელია და შეადგენს 800.0 მლნ ლარს.


2021 წლის საწყის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით სხვა შემოსავლები მნიშვნელოვნად (250.0 მლნ ლარით) არის მომატებული, მ.შ. ყველა კომპონენტი გაზრდილია, თუმცა მათება ძირითადად მოდის საკუთრებიდან შემოსავლებზე, რომელიც გაზრდილია 210.0 მლნ ლარით.

	2021 საწყისი	2021 დამტკიცებული	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამტკიცებული		2021 პროექტი / 2021 საწყისი	
				სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
სხვა შემოსავლები	550.0	800.0	800.0	0.0	0.0%	250.0	45.5%
შემოსავლები საკუთრებიდან	276.0	486.0	486.0	0.0	0.0%	210.0	76.1%
პროცენტები	150.0	220.0	220.0	0.0	0.0%	70.0	46.7%
დივიდენდები	101.0	191.0	191.0	0.0	0.0%	90.0	89.1%
სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან	1.0	51.0	51.0	0.0	0.0%	50.0	5000.0%
ეროვნული ბანკის მოგებიდან	100.0	140.0	140.0	0.0	0.0%	40.0	40.0%
რენტა	25.0	75.0	75.0	0.0	0.0%	50.0	200.0%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	59.4	74.4	74.4	0.0	0.0%	15.0	25.3%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	56.3	71.3	71.3	0.0	0.0%	15.0	26.6%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	3.1	3.1	3.1	0.0	0.0%	0.0	0.0%
ჭარბები, სანაწიფი და საურავები	90.0	100.0	100.0	0.0	0.0%	10.0	11.1%
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	124.6	139.6	139.6	0.0	0.0%	15.0	12.0%

ცხრილი 6: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები (მლნ ლარი, %).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში.


სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში



დიაგრამა 11: სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

არაფინანსური აქტივების კლება


2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობების საპროგნოზო სიდიდე არ იცვლება, განსაზღვრულია 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მარჯვენა დონეზე, 350.0 მლნ ლარის ოდენობით.



დიაგრამა 12: არაფინანსური აქტივების კლება კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების კლება

2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ფინანსური აქტივების კლების (სესხების დაბრუნება) საპროგნოზო მარჯვენა ბიუჯეტით დამტკიცებულ სიდიდესთან შედარებით ასევე არ იცვლება და შეადგენს 210.0 მლნ ლარს, ფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობები სრულად სესხების დაბრუნებით მისაღები თანხებზე მოდის.



დიაგრამა 13: ფინანსური აქტივების კლება კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში (მლნ ლარი)

ვალდებულებების ზრდა


2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მაჩვენებელი, 2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან (5,124.0 მლნ ლარი) შედარებით, შემცირებულია 133.9 მლნ ლარით (2.6%-ით) და განსაზღვრულია 4,990.1 მლნ ლარის დონეზე. აღნიშნული კლება დაკავშირებულია საშინაო ვალის შემცირებასთან: 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით დაგეგმილია საშინაო ვალის შემცირება 150.0 მლნ ლარის ოდენობით, ბიუჯეტის ცვლილების პროექტით კი საშინაო ფასიანი ქაღალდების წმინდა გამოშვება განისაზღვრება (-300.0) მლნ ლარით, ანუ დაგეგმილია საშინაო ვალის შემცირება დამატებით კიდევ 150.0 მლნ ლარით.

რაც შეეხება საგარეო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელს, აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წლის გეგმასთან შედარებით მცირედით, 16.1 მლნ ლარით არის გაზრდილი, რაც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, საინვესტიციო კრედიტების 12.9 მლნ ლარით შემცირებასთან და მეორე მხრივ, ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების 29.0 მლნ ლარით ზრდასთან.

	2021 საწყისი	2021 დამტკიცებული	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამტკიცებული		2021 პროექტი / 2021 საწყისი	
				სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
ვალდებულებების ზრდა	5,278.9	5,124.0	4,990.1	-133.9	-2.6%	-288.8	-5.5%
საგარეო	5,278.9	5,274.0	5,290.1	16.1	0.3%	11.2	0.2%
ევრობონდები	1,657.0	1,713.2	1,713.2	0.0	0.0%	56.2	3.4%
ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები	2,171.0	2,171.0	2,200.0	29.0	1.3%	29.0	1.3%
საინვესტიციო კრედიტები	1,450.9	1,389.8	1,376.9	-12.9	-0.9%	-74.0	-5.1%
საშინაო	0.0	-150.0	-300.0	-150.0	100.0%	-300.0	

ცხრილი 7: სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდის მაჩვენებლები 2020-2021 წლებში (მლნ ლარი, %).

2012-2020 წლებში, ყოველწლიურად, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მოცულობა ზრდის ტენდენციას ავლენს (როგორც საგარეო, ისე საშინაო ვალდებულებების ზრდის ხარჯზე), გარდა 2013 და 2015 წლებისა. 2013 - 2019 წლებში აღნიშნული კომპონენტის ზრდის საშუალო მაჩვენებელი 22.4%-ს შეადგენს. 2020 წელს კი (პანდემიასთან დაკავშირებული გაზრდილი ხარჯების და ეკონომიკური ზრდის შენელების შედეგად შემცირებული შემოსავლების გათვალისწინებით), კიდევ უფრო გაიზარდა დეფიციტის დასაფარად მოზიდული სახსრები და წინა წელთან შედარებით ზრდამ 212.2%-ს მიაღწია. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდის დინამიკა 2012-2021 წლებში.




დიაგრამა 14: საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდის დინამიკა 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტით, ვალდებულებების ზრდით შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა, მნიშვნელოვნად გაზრდილია გასული წლების ფაქტობრივ მაჩვენებლებთან შედარებით, გარდა 2020 წლის მაჩვენებლისა, რომელსაც 2,300.3 მლნ ლარით (31.6%-ით) ჩამორჩება საშინაო ვალდებულებების შემცირების გავლენით. საგარეო ვალდებულებების ზრდის საპროგნოზო მოცულობა კი თითქმის გათანაბრებულია 2020 წლის მაჩვენებელთან, მცირედით, 0.5%-ით

აღემატება (ბიუჯეტის მხარდამჭერი და საინვესტიციო კრედიტების შემცირების მიუხედავად), რაც დაკავშირებულია 2021 წელს ევრობონდების გადაფარვის მიზნით ახალი ევრობონდის გამოშვებასთან (1.7 მილიარდი ლარის ოდენობით).

თავის მხრივ საგარეო ვალდებულებების ზრდით შემოსულობების სტრუქტურაში, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტით, 41.6% მოდის ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებზე, 32.4% - ევრობონდის რეფინანსირებით ვალდებულებების ზრდაზე, ხოლო 26.0% - საინვესტიციო კრედიტებზე. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საგარეო ვალდებულებების კომპონენტების დინამიკა 2012-2021 წლებში.

საგარეო ვალდებულებების კომპონენტების დინამიკა 2012-2021 წლებში



დიაგრამა 15: საგარეო ვალდებულებების კომპონენტების დინამიკა 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გადასახდელების საწყისი გეგმა განსაზღვრული იყო **18,384.5 მლნ ლარის** ოდენობით, ხოლო დამტკიცებული გეგმა **19,498.7 მლნ ლარს შეადგენს**. „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით, გადასახდელების გეგმა განისაზღვრა **19,796.1 მლნ ლარის ოდენობით**, რაც დამტკიცებულ მოცულობას აღემატება 297.4 მლნ ლარით (1.5%-ით), ხოლო საწყის გეგმას - 1,411.6 მლნ ლარით (7.7%-ით).


2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით მატება ძირითადად მოდის ხარჯების კომპონენტზე, კერძოდ, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით ხარჯები იზრდება 333.1 მლნ ლარით (2.4%-ით), არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი მცირდება 20.8 მლნ ლარით (0.8%-ით), ვალდებულებების კლების კომპონენტი მცირდება 15.0 მლნ ლარით (0.5%-ით), ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი რჩება უცვლელი.

	2021 საწყისი	2021 დამტკიცებული	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამტკიცებული		2021 პროექტი / 2021 საწყისი	
				სხმაობა	%-ული ცვლილება	სხმაობა	%-ული ცვლილება
სულ გადასახდელები	18,384.5	19,498.7	19,796.1	297.4	1.5%	1,411.6	7.7%
ხარჯები	12,758.3	13,898.9	14,232.1	333.1	2.4%	1,473.7	11.6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,416.9	2,546.4	2,525.7	-20.8	-0.8%	108.8	4.5%
ფინანსური აქტივების ზრდა	402.7	316.8	316.8	0.0	0.0%	-85.9	-21.3%
ვალდებულებების კლება	2,806.6	2,736.6	2,721.6	-15.0	-0.5%	-85.0	-3.0%

ცხრილი 8: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2021 წელს (მლნ ლარი, %).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2012-2021 წლებში შემადგენელი კომპონენტების მიხედვით:

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში




დიაგრამა 16: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, მაგალითისათვის 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით გადასახდელების მარჯვენა მხარე 2012 წლის ფაქტთან შედარებით გაზრდილია 11,989.3 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია ხარჯების, არაფინანსური აქტივების ზრდის და ვალდებულებების კლების მარჯვენა მხარის ზრდით. თუმცა, თუ განვიხილავთ მათ წილს გადასახდელებში, 2012-2019 წლებში ხარჯების წილი კლების, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის და ვალდებულებების კლების წილი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. 2020

წელს ხარჯების წილი გადასახდელებში გაიზარდა, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის წილი შემცირდა. 2021 წლის ბიუჯეტის საწყისი გეგმით ხარჯების წილი 69.4%-მდე არის შემცირებული, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის წილი - 13.1%-მდე; 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით კი, ხარჯების წილი 71.3%-მდე არის გაზრდილი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის წილი უცვლელი რჩება და შეადგენს 13.1%-ს. 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ხარჯების წილი იზრდება 71.9%-მდე, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის წილი შემცირებულია და შეადგენს 12.8%-ს.

გადასახდელებში 4 ძირითადი კომპონენტის პროცენტული განაწილების საჩვენებლად, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2021 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტების პროცენტული განაწილება:

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურის დინამიკა 2012-2021 წლებში



დიაგრამა 17: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურის დინამიკა 2012-2021 წლებში (%).

რაც შეეხება 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების ზრდას მხარჯავი დაწესებულებებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით, 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრულია 55 მხარჯავი დაწესებულება¹⁴, რომელთაგან 17-ის ფარგლებში განსაზღვრულია ჯამურად 127 პროგრამა¹⁵, ხოლო 38 მხარჯავი დაწესებულებისთვის არ არის პროგრამები გათვალისწინებული. წარმოდგენილი ცვლილების პროექტის მიხედვით არ არის შეცვლილი მხარჯავი დაწესებულებებისა და პროგრამების რიცხოვნობა.

რაც შეეხება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით აღნიშნული გადასახდელები აერთიანებს 14 პროგრამულ კოდს, რაც, ასევე, არ არის შეცვლილი წარმოდგენილი ცვლილების პროექტის მიხედვით.

2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელებიდან (19,498.7 მლნ ლარი) 14,684.4 მლნ ლარი გათვალისწინებულია მხარჯავი დაწესებულებებისათვის, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე გადანაწილებულია 4,814.3 მლნ ლარი. 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, მხარჯავი დაწესებულებების ჯამური ასიგნება იზრდება 366.4 მლნ ლარით, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ასიგნება მცირდება 69.0 მლნ ლარით (დეტალურად იხილეთ „საერთო-

¹⁴ მხარჯავი დაწესებულება – სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის – პროგრამული კლასიფიკაციის პირველი თანრიგით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაცია, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის – თვითმმართველი ერთეული; (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი)

¹⁵ პროგრამა – ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დატკუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისთვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება; (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი)

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები“) და განისაზღვრება შესაბამისად, 15,050.8 მლნ ლარის და 4,745.3 მლნ ლარის ოდენობით.

მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების ზრდა გადანაწილებულია 2 მხარჯავ დაწესებულებაზე, 2 მხარჯავი დაწესებულების შემთხვევაში ადგილი აქვს ასიგნებების შემცირებას, ხოლო ასიგნებები უცვლელი დარჩა 51 მხარჯავ დაწესებულებაში.


ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მხარჯავი დაწესებულებების 2021 წლის დამტკიცებული და პროექტით გათვალისწინებული გეგმების ცვლილება.

კოდი	დასახელება	2021 დამტკიცებული	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამტკიცებული	
				სხმაობა	%-ული ცვლილება
მხარჯავი დაწესებულებები რომელთა დაფინანსება იზრდება 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტით					
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	6,093.0	6,468.9	376.0	6.2%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	930.0	990.0	60.0	6.5%
მხარჯავი დაწესებულებები რომელთა დაფინანსება მცირდება 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტით					
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	642.8	585.2	-57.6	-9.0%
09 00	საერთო სასამართლოები	86.0	74.0	-12.0	-14.0%
მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების ჯამური ცვლილება				366.4	

ცხრილი 9: მხარჯავი დაწესებულებების 2021 წლის დამტკიცებული და პროექტით გათვალისწინებული გეგმების ცვლილება (მლნ ლარი, %).

რაც შეეხება მხარჯავი დაწესებულებების ფარგლებში განსაზღვრულ პროგრამებს, 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამებისთვის განსაზღვრული ასიგნება ჯამურად შეადგენს 14,417.5 მლნ ლარს, რაც 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით იზრდება 366.4 მლნ ლარით და განისაზღვრა 14,783.9 მლნ ლარით. 127 პროგრამიდან იზრდება 9 პროგრამის დაფინანსება, მცირდება 3 პროგრამის დაფინანსება, ხოლო 115 პროგრამის დაფინანსება უცვლელი რჩება.

პროგრამების რაოდენობა, რომელთა დაფინანსება იზრდება 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით




დიაგრამა 18: პროგრამების რაოდენობა, რომელთა დაფინანსება იზრდება 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით (ერთეული).

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, პროექტით გათვალისწინებული ასიგნების ზრდა დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით 0%-30%-ის ინტერვალშია და ადგილი არ აქვს ასიგნებების მკვეთრ მატებებს.

რაც შეეხება შემცირებებს, 3 პროგრამიდან 2 პროგრამის შემთხვევაში ადგილი არ აქვს ასიგნებების მკვეთრ კლებას, კერძოდ მათი ასიგნებების შემცირება, დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით, 0-დან 15%-მდე მერყეობს. ხოლო, 1 პროგრამის შემთხვევაში, ასიგნების შემცირება 70%-ს აღემატება.

პროგრამების რაოდენობა, რომელთა დაფინანსება მცირდება 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით



დიაგრამა 19: პროგრამების რაოდენობა, რომელთა დაფინანსება მცირდება 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით (ერთეული).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პროგრამების 2021 წლის დამტკიცებული და პროექტით გათვალისწინებული გეგმების ცვლილება.

კოდი	დასახელება	2021 დამტკიცებული	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამტკიცებული	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
პროგრამები რომელთა დაფინანსება იზრდება 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით					
27 03	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	2,010.5	2,365.0	354.5	17.6%
29 09	ლოჯისტიკური უზრუნველყოფა	144.9	174.9	30.0	20.7%
27 02	მოსახლეობის სოციალური დაცვა	3,854.9	3,876.4	21.5	0.6%
29 08	თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება	110.0	121.0	11.0	10.0%
29 03	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	60.7	69.0	8.3	13.6%
29 01	თავდაცვის მართვა	356.8	361.3	4.6	1.3%
29 05	ინფრასტრუქტურის განვითარება	80.0	83.0	3.0	3.8%
29 07	სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება	33.5	35.5	2.0	6.0%
29 02	პროფესიული სამხედრო განათლება	53.3	54.5	1.2	2.3%
პროგრამები რომელთა დაფინანსება მცირდება 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით					
24 07	მეწარმეობის განვითარება	357.2	322.2	-35.0	-9.8%
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	28.7	6.1	-22.6	-78.8%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	84.1	72.1	-12.0	-14.3%
პროგრამების ასიგნებების ჯამური ცვლილება				366.4	


ცხრილი 10: პროგრამების 2021 წლის დამტკიცებული და პროექტით გათვალისწინებული გეგმების ცვლილება (მლნ ლარი, %).

რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურას ე.წ. მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებთან¹⁶ მიმართებაში, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, პროექტის მიხედვით პროგნოზირებული მშპ-ს 25.1%-ს შეადგენს, რაც 0.1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელზე (25.2%) და უთანაბრდება 2021 წლის საწყისი ბიუჯეტის მიხედვით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელს (25.1%). რაც შეეხება ე.წ. კაპიტალურ ხარჯებს, მისი შეფარდება მშპ-თან, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, 8.3%-ის ოდენობით არის განსაზღვრული, რაც 0.1 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება 2021 წლის საწყისი ბიუჯეტის მიხედვით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელს (8.4%) და უცვლელია 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებით.

¹⁶ ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები მოიცავს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით განსაზღვრული მუხლების მიხედვით განუვლ/გასაწევ გადასახდელებს, ხოლო კაპიტალური ხარჯები გულისხმობს ნაერთი ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდისა და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტების ფარგლებში განუვლი/გასაწევი გადასახდელების ჯამს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ნაერთი ბიუჯეტის ე.წ. მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ფარდობის მაჩვენებელი მშპ-თან 2012-2021 წლებში.

ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ფარდობის მაჩვენებელი მშპ-თან



დიაგრამა 20: ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ფარდობის მაჩვენებელი მშპ-თან (%).

ხარჯები

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების დაფინანსება, დამტკიცებულ გეგმასთან (13,898.9 მლნ ლარი) შედარებით, იზრდება 333.1 მლნ ლარით და წარმოდგენილი პროექტის მიხედვით განსაზღვრულია 14,232.1 მლნ ლარის ოდენობით. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, შემდეგი სახით არის გადანაწილებული:

ხარჯები	2021 საწყისი	2021 დამტკიცებული	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამტკიცებული		2021 პროექტი / 2021 საწყისი	
				სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
ხარჯები	12,758.3	13,898.9	14,232.1	333.1	2.4%	1,473.7	11.6%
შრომის ანაზღაურება	1,614.7	1,636.9	1,640.9	4.0	0.2%	26.2	1.6%
საქონელი და მომსახურება	1,606.7	1,798.9	1,851.7	52.9	2.9%	245.0	15.3%
პროცენტი	918.0	868.0	798.0	-70.0	-8.1%	-120.0	-13.1%
სუბსიდიები	649.7	858.0	858.3	0.3	0.0%	208.6	32.1%
გრანტები	790.6	970.4	935.4	-35.0	-3.6%	144.8	18.3%
სოციალური უზრუნველყოფა	5,361.9	5,655.3	6,003.3	348.0	6.2%	641.4	12.0%
სხვა ხარჯები	1,816.7	2,111.5	2,144.5	33.0	1.6%	327.8	18.0%

ცხრილი 11: სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით 2021 წელს (მლნ ლარი, %)


როგორც ცხრილშია წარმოდგენილი, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ზრდა შეეხო ყველა მუხლს გარდა პროცენტისა და გრანტებისა.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლის გეგმა 1,636.9 მლნ ლარიდან იზრდება 1,640.9 მლნ ლარამდე, 4.0 მლნ ლარით, რაც სრულად მოდის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროგრამებზე:

- „თავდაცვის მართვა“ (პროგრამული კოდი - 29 01) - 1.9 მლნ ლარი;
- „პროფესიული სამხედრო განათლება“ (პროგრამული კოდი - 29 02) - 1.1 მლნ ლარი;
- „ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი - 29 03) - 0.2 მლნ ლარი;
- „სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება“ (პროგრამული კოდი - 29 07) - 0.3 მლნ ლარი;
- „ლოჯისტიკური უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი - 29 09) - 0.5 მლნ ლარი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტით გათვალისწინებული არ არის მომუშავეთა რიცხოვნობის ცვლილება ბიუჯეტის დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით.

რაც შეეხება „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ფარდობას მთლიან შიდა პროდუქტთან, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებთან და ხარჯებთან მიმართებაში, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებლები შემცირებულია 2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით. კერძოდ, 2021 წლის დამტკიცებული გეგმის მიხედვით, „შრომის ანაზღაურების“ მუხლის გეგმა ხარჯების 11.8%-ს წარმოადგენს, 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით კი აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია 11.5%-მდე. შემცირებულია, ასევე, „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ფარდობის მაჩვენებელი გადასახდელებთან 8.4%-დან 8.3%-მდე და მთლიან შიდა პროდუქტთან - 2.9%-დან 2.8%-მდე.



დიაგრამა 21: სახელმწიფო ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების მუხლის ფარდობის მაჩვენებლები მშპ-თან, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებთან და ხარჯებთან 2012-2021 წლებში (%).

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის დამტკიცებული მოცულობა (1,798.9 მლნ ლარი) იზრდება 52.9 მლნ ლარით და შეადგენს 1,851.7 მლნ ლარს.


„პროცენტის“ მუხლის მოცულობა, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, განსაზღვრულია 798.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან (868.0 მლნ ლარი) შედარებით შემცირებულია 70.0 მლნ ლარით. აღნიშნული შემცირებიდან 50.0 მლნ ლარი მოდის საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე, ხოლო 20.0 მლნ ლარი საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე.

2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, **„სუბსიდიების“** მუხლის დამტკიცებული გეგმა (858.0 მლნ ლარი) იზრდება მცირედით, 0.3 მლნ ლარით და განსაზღვრულია 858.3 მლნ ლარის ოდენობით.

დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 35.0 მლნ ლარით მცირდება **„გრანტების“** მუხლის მოცულობა და 935.4 მლნ ლარს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის 2021 წლის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 5,655.3 მლნ ლარს, ხოლო წარმოდგენილი პროექტის მიხედვით იზრდება 348.0 მლნ ლარის ოდენობით (6.2%-ით) და განისაზღვრა 6,003.3 მლნ ლარით, რაც 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი ხარჯების 42.2%-ს, ხოლო გადასახდელების 30.3%-ს შეადგენს.

2012-2021 წლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის წილი ხარჯებსა და გადასახდელებში



დიაგრამა 22: 2012-2021 წლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის წილი ხარჯებსა და გადასახდელებში (მლნ ლარი, %)

როგორც დიაგრამაზე ნარმოდგენილი „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი ყოველწლიურად ზრდადი ტენდენციით ხასიათდება და მაქსიმუმს 2021 წლისთვის აღწევს. 2012 წლის ფაქტთან შედარებით 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტით გათვალისწინებული მოცულობა გაზრდილია 3.5-ჯერ. რაც შეეხება მის წილს გადასახდელებსა და ხარჯებში, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებლები გაზრდილია 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მონაცემებთან შედარებით.

2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, „სხვა ხარჯების“ მუხლის მოცულობა გაზრდილია 33.0 მლნ ლარით, 2,111.5 მლნ ლარიდან 2,144.5 მლნ ლარამდე.


რაც შეეხება ხარჯების ცვლილებას მხარჯავი დაწესებულებებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 55 მხარჯავი დაწესებულებიდან 2 მხარჯავ დაწესებულებას ხარჯები ჯამურად ეზრდება 421.8 მლნ ლარის ოდენობით, 1 მხარჯავ დაწესებულებას ხარჯები უმცირდება 34.7 მლნ ლარით, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში ხარჯების კლება 54.0 მლნ ლარს შეადგენს. ხარჯები უცვლელი რჩება 52 მხარჯავ დაწესებულებას.

კოდი	დასახელება	2021 დამტკიცებული	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამტკიცებული	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	5,986.6	6,362.6	376.0	6.3%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	678.0	723.9	45.9	6.8%
56 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	1,922.5	1,868.5	-54.0	-2.8%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	538.7	504.0	-34.7	-6.4%
ჯამურად ხარჯების ზრდა				333.1	

ცხრილი 12: ხარჯების ცვლილება მხარჯავი დაწესებულებებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით (მლნ ლარი, %)

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2021 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით:


სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში



დიაგრამა 23: ხარჯების დინამიკა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით 2012-2021 წლებში (მლნ ლარი)

რაც შეეხება **ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებს**, მისი დინამიკა, 2012-2020 წლებში, ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და 2013-2020 წლებში საშუალო ზრდის ტემპმა 10.1% შეადგინა. 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები 2021 წლის საწყისი ბიუჯეტის გეგმის მონაცემს 9.6%-ით აღემატება. 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, 2021 წლის დამტკიცებულ პროგნოზთან შედარებით, გაზრდილია 269.0 მლნ ლარით და შეადგენს 14,688.0 მლნ ლარს, რაც 1.9%-ით მეტია 2021 ბიუჯეტის დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით.

ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები და მათი შეფარდება მშპ-თან 2012-2021 წლებში



დიაგრამა 24: ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები და მათი შეფარდება მშპ-თან 2012-2021 წლებში (მლნ ლარი, %)

არაფინანსური აქტივების ზრდა


„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით **არაფინანსური აქტივების ზრდის** დამტკიცებული გეგმა განსაზღვრულია 2,546.4 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით, არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა განისაზღვრა 2,525.7 მლნ ლარის ოდენობით, რაც დამტკიცებულ მოცულობაზე 20.8 მლნ ლარით (0.8%-ით) ნაკლებია. აღნიშნული კლება მოდის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრულ 2 მხარტავ დაწესებულებაზე, ხოლო 1 მხარტავი დაწესებულების შემთხვევაში ადგილი აქვს არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის მატებას.

კოდი	დასახელება	2021 დამტკიცებული	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამტკიცებული	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	27.1	4.2	-22.9	-84.6%
09 00	საერთო სასამართლოები	16.4	4.4	-12.0	-73.3%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	252.0	266.1	14.1	5.6%
ჯამურად არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის ცვლილება				-20.8	

ცხრილი 13: არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის ცვლილება მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის წილს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებში, 2012-2019 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და მაქსიმუმს 2019 წელს მიაღწია (გადასახდელების 16.7%). 2020 წელს, წინა წლებთან შედარებით, შემცირდა აღნიშნული კომპონენტის წილი მთლიან გადასახდელებში 14.3%-მდე. 2021 წლის ბიუჯეტის საწყისი გეგმის მიხედვით შემცირდა აღნიშნული კომპონენტის წილი მთლიან გადასახდელებში 13.1%-მდე, ასევე 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით იგი 13.1%-ს შეადგენს. 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით კვლავ შემცირდა არაფინანსური აქტივების ზრდის წილი გადასახდელებში და 12.8%-ით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია არაფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა და მისი წილი გადასახდელებში 2012-2021 წლებში.




დიაგრამა 25: არაფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა და მისი წილი გადასახდელებში 2012-2021 წლებში (მლნ ლარი, %)

ფინანსური აქტივების ზრდა

2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი არ შეცვლილა და განსაზღვრულია 316.8 მლნ ლარის ოდენობით და მსგავსად დამტკიცებული გეგმისა სრულად მოდის საკრედიტო რესურსით დაფინანსების წყაროზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში.



დიაგრამა 26: ფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში (მლნ ლარი)

ვალდებულებების კლება

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მეოთხე კომპონენტს, ვალდებულებების კლებას, 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გეგმა შეადგენს 2,736.6 მლნ ლარს, საიდანაც 2,693.7 მლნ ლარი მიმართულია საგარეო ვალდებულებების კლებაზე

	2021 დამტ. გეგმა	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამტ. გეგმა	
			სხვაობა	%-ული ცვლილება
ვალდებულებების კლება	2,736.6	2,721.6	-15.0	-0.5%
საგარეო	2,693.7	2,678.7	-15.0	-0.6%
საშინაო	42.8	42.8	0.0	0.0%

ცხრილი 14: ვალდებულებების კლების კომპონენტი 2021 წელს (მლნ ლარი, %)

(მ.შ.საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვა 2,690.0 მლნ ლარი), ხოლო 42.8 მლნ ლარი მიმართულია საშინაო ვალდებულებების კლებაზე (მ.შ.საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვა 40.0 მლნ ლარი). 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით ვალდებულებების კლების მაჩვენებელი მცირდება 15.0 მლნ ლარით, რომელიც სრულად საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის (დეტალურად იხილეთ „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები“).

ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის¹⁷ მიხედვით ასიგნებები განსაზღვრულია 16,445.4 მლნ ლარით. 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში იზრდება 312.4 მლნ ლარით (1.9%-ით) და შეადგენს 16,757.7 მლნ ლარს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:

	2021 დამტკიცებული	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამტკიცებული	
			სხვაობა	%-ული ცვლილება
სულ	16,445.4	16,757.7	312.4	1.9%
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,167.5	2,097.5	-70.0	-3.2%
თავდაცვა	972.3	1,032.3	60.0	6.2%
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1,345.7	1,333.7	-12.0	-0.9%
ეკონომიკური საქმიანობა	2,869.3	2,811.7	-57.6	-2.0%
გარემოს დაცვა	109.3	109.3	0.0	0.0%
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	283.6	283.6	0.0	0.0%
ჯანმრთელობის დაცვა	2,125.9	2,480.4	354.5	16.7%
დასვენება, კულტურა და რელიგია	380.2	380.2	0.0	0.0%
განათლება	1,739.1	1,739.1	0.0	0.0%
სოციალური დაცვა	4,452.6	4,490.0	37.5	0.8%

ცხრილი 15: საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში (მლნ ლარი, %).


როგორც ცხრილშია წარმოდგენილი, ფუნქციონალური კლასიფიკაციის 2021 წლის როგორც დამტკიცებული გეგმის, ასევე, ცვლილების პროექტის მიხედვით 4 ყველაზე მსხვილ მიმართულებას წარმოადგენენ შემდეგი მიმართულებები: სოციალური დაცვა, ეკონომიკური საქმიანობა, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება და ჯანმრთელობის დაცვა. 2021 წლის საწყისი გეგმის მიხედვით კი მე-4 მსხვილ მიმართულებას, ნაცვლად ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებისა, განათლება წარმოადგენდა.

¹⁷ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

განათლება, როგორც მე-4 მსხვილი მიმართულება, ასევე წარმოდგენილი იყო 2016-2019 წლებში. 2020 წელს კი, ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება გახდა სიდიდით მე-4 მიმართულება, ნაცვლად განათლებისა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2021 წლებში სახელწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში.

ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია და მისი შეფარდება მშპ-თან 2012-2021 წლებში




დიაგრამა 27: ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია 2012-2021 წლებში (მლნ ლარი)

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაცვისა და განათლების მიმართულებები, 2012-2020 წლებში, ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა 2021 წლის საწყისი ბიუჯეტის მიხედვით, შემცირდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებები. 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, საწყის ბიუჯეტთან შედარებით, გაზრდილია ზემოაღნიშნული 3 მიმართულების დაფინანსება, ხოლო 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით განათლების მიმართულების დაფინანსება უცვლელია, თუმცა ჯანმრთელობის დაცვის მიმართულების დაფინანსება გაზრდილია 2,126 მლნ ლარიდან 2,480 მლნ ლარამდე (355 მლნ ლარით) და სოციალური დაცვა - 4,453 მლნ ლარიდან 4,490 მლნ ლარამდე (37 მლნ ლარით).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე გამოსახულია ზემოაღნიშნული მიმართულებების დაფინანსება 2012-2021 წლებში და მათი შეფარდება მშპ-თან.

სოციალური დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა და განათლება 2012-2021 წლებში



დიაგრამა 28: სოციალური დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა და განათლება 2012-2021 წლებში (მლნ ლარი, %)

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ჯამური მოცულობა განსაზღვრულია 4,814.3 მლნ ლარის დონეზე, ხოლო 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით აღნიშნული გადასახდელების მოცულობა განსაზღვრულია 4,745.3 მლნ ლარის ოდენობით, რაც 69.0 მლნ ლარით (1.4%-ით) ნაკლებია დამტკიცებულ მოცულობაზე. ასიგნებების კლება მოხდა შემდეგ პროგრამულ კოდებზე: „საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი - 56 01)“ 65.0 მლნ ლარით და „საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი - 56 02)“ 20.0 მლნ ლარით. გარდა კლებისა „დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი - 56 11)“ გაიზარდა 16.0 მლნ ლარით.

რაც შეეხება დანარჩენს პროგრამულ კოდებს, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, მათი დამტკიცებული მოცულობა რჩება უცვლელი.


ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების გეგმები და 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტით განსაზღვრული გეგმები.

კოდი	2021 დამტკიცებული	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამტკიცებული			
			სხვაობა	%-ული ცვლილება		
56 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები		4,814.3	4,745.3	-69.0	-1.4%
56 01	საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	3,028.0	2,963.0	-65.0	-2.1%	
56 02	საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	570.0	550.0	-20.0	-3.5%	
56 03	საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები	4.5	4.5	0.0	0.0%	
56 04	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	226.0	226.0	0.0	0.0%	
56 05	საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	40.0	40.0	0.0	0.0%	
56 06	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	45.0	45.0	0.0	0.0%	
56 07	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	410.0	410.0	0.0	0.0%	
56 08	მალაღმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	15.0	15.0	0.0	0.0%	
56 09	საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა	0.2	0.2	0.0	0.0%	
56 10	საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საოპერაციო ხარჯებისა და სხვა ვალდებულებების თანადაფინანსება	0.7	0.7	0.0	0.0%	
56 11	დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება	220.0	236.0	16.0	7.3%	
56 12	საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა	5.0	5.0	0.0	0.0%	
56 13	დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	219.9	219.9	0.0	0.0%	
56 14	2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტებში	30.0	30.0	0.0	0.0%	

ცხრილი 16: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები (მლნ ლარი, %).

„საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის“ 2021 წლის დამტკიცებული გეგმა 3,028.0 მლნ ლარს შეადგენს, საიდანაც საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისთვის განსაზღვრულია 2,690.0 მლნ ლარი, ხოლო მომსახურების (პროცენტის) დაფარვისთვის - 338.0 მლნ ლარი. 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით 15.0 მლნ ლარით მცირდება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისთვის განსაზღვრული გეგმა, ხოლო მომსახურების (პროცენტის) დაფარვის გეგმა - 50.0 მლნ ლარით. შესაბამისად „საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის“ 2021 წლის გეგმა განსაზღვრულია 2,963.0 მლნ ლარის ოდენობით.


საგარეო სახელმწიფო ვალდებულების მომსახურება და დაფარვა 2012-2021 წლებში



დიაგრამა 29: საგარეო სახელმწიფო ვალდებულების მომსახურება და დაფარვა 2012-2021 წლებში (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის წილს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებში, 2012-2021 წლებში მათი ჯამი ყველაზე მაღალ ნიშნულს 2021 წლის საწყისი გეგმის მიხედვით აღწევს (17.1%), ხოლო 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, მთლიანი გადასახდელების 15.5% მიიმართება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე. 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით გადასახდელების 15.0%-ს შეადგენს საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა, საიდანაც 13.5 პროცენტული პუნქტი მოდის ძირითადი თანხის დაფარვაზე, ხოლო 1.5 პროცენტული პუნქტი - მომსახურების (პროცენტის) დაფარვაზე.


საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის წილი გადასახდელებში 2012-2021 წლებში



დიაგრამა 30: საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის წილი გადასახდელებში 2012-2021 წლებში (%)

2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით „საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის“ გეგმა 550.0 მლნ ლარს შეადგენს, საიდანაც საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისთვის განსაზღვრულია 40.0 მლნ ლარი, ხოლო მომსახურების (პროცენტის) დაფარვისთვის - 510.0 მლნ ლარი. 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრულ მოცულობასთან შედარებით, საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვა უცვლელია, ხოლო მომსახურების (პროცენტის) დაფარვა შემცირებულია 20.0 მლნ ლარით.

საშინაო სახელმწიფო ვალდებულების მომსახურება, დაფარვა და მათი წილი
გადასახდელებში 2012-2021 წლებში



დიაგრამა 31: საშინაო სახელმწიფო ვალდებულების მომსახურება, დაფარვა და მათი წილი გადასახდელებში 2012-2021 წლებში (მლნ ლარი, %)

„დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების“ 2021 წლის დამტკიცებული გეგმა 220.0 მლნ ლარს შეადგენს, 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით კი იზრდება 16.0 მლნ ლარით (7.3%-ით) და განსაზღვრულია 236.0 მლნ ლარის დონეზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო


ნაშთის ცვლილება

2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით **ნაშთის ცვლილება** (გამოყენება) შეადგენს - 1,565.7 მლნ ლარს, ხოლო 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ნაშთის ცვლილება (გამოყენება) განსაზღვრულია -1,697.0 მლნ ლარის ოდენობით. კერძოდ:

- „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების გეგმა განსაზღვრულია 17,933.0 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების გეგმა - 19,498.7 მლნ ლარი. შესაბამისად, ნაშთის ცვლილება (გამოყენება) შეადგენს -1,565.7 მლნ ლარს.
- 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, შემოსულობების გეგმა იზრდება 166.1 მლნ ლარით და 18,099.1 მლნ ლარით განისაზღვრა. გადასახდელების გეგმა კი, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, იზრდება 297.4 მლნ ლარით და 19,796.1 მლნ ლარს შეადგენს. შესაბამისად, ნაშთის გამოყენება 131.3 მლნ ლარით გაიზარდა და -1,697.0 მლნ ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2012-2021 წლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2012-2021 წლებში




დიაგრამა 32: სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო

რაც შეეხება საოპერაციო და მთლიან სალდოს, 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით საოპერაციო სალდო განსაზღვრულია -1,649.9 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო მთლიანი სალდო -3,846.3 მლნ ლარს შეადგენს. 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, საოპერაციო სალდო -1,683.0 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო მთლიანი სალდო -3,858.7 მლნ ლარს. 2012-2021 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ყველაზე დიდი დეფიციტი (მთლიანი სალდოს უარყოფითი მაჩვენებელი) ნომინალურ გამოსახულებაში 2020 წელს დაფიქსირდა, რაც დაკავშირებულია, წინა წლებთან შედარებით, როგორც ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეული გადასახდელების ზრდასთან, ასევე შემოსავლების შემცირებასთან.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2012-2021 წლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო 2012-2021 წლებში



დიაგრამა 33: სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

	2019 ფაქტი	2020 ფაქტი	2021 საწყისი	2021 დამბიძგებული	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამბიძგებული		2021 პროექტი / 2021 საწყისი		2021 პროექტი / 2020 ფაქტი	
						სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსულობები	13,252.2	18,042.3	16,758.1	17,933.0	18,099.1	166.1	0.9%	1,341.0	8.0%	56.8	0.3%
შემოსავლები	10,675.0	10,490.4	11,179.2	12,249.0	12,549.0	300.0	2.4%	1,369.8	12.3%	2,058.7	19.6%
გადასახადები	9,665.6	9,364.8	10,342.3	11,062.6	11,362.6	300.0	2.7%	1,020.3	9.9%	1,997.8	21.3%
საშემოსავლო გადასახადი	3,200.3	3,079.8	3,315.0	3,405.0	3,500.0	95.0	2.8%	185.0	5.6%	420.2	13.6%
მოგების გადასახადი	866.3	919.4	951.0	951.0	1,001.0	50.0	5.3%	50.0	5.3%	81.6	8.9%
დღგ	4,243.6	3,918.2	4,347.3	4,746.6	4,807.4	60.8	1.3%	460.1	10.6%	889.2	22.7%
აქციზი	1,506.7	1,619.4	1,582.0	1,800.0	1,825.0	25.0	1.4%	243.0	15.4%	205.6	12.7%
იმპორტის გადასახადი	79.1	74.4	77.0	80.0	81.3	1.3	1.6%	4.3	5.5%	6.9	9.3%
სხვა გადასახადები	-230.3	-246.4	70.0	80.0	148.0	68.0	85.0%	78.0	111.4%	394.4	-160.1%
გრანტები	489.6	459.6	286.9	386.4	386.4	0.0	0.0%	99.5	34.7%	-73.1	-15.9%
სხვა შემოსავლები	519.8	666.0	550.0	800.0	800.0	0.0	0.0%	250.0	45.5%	134.0	20.1%
არაფინანსური აქტივების კლება	93.2	98.2	150.0	350.0	350.0	0.0	0.0%	200.0	133.3%	251.8	256.6%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	148.5	163.4	150.0	210.0	210.0	0.0	0.0%	60.0	40.0%	46.6	28.6%
ვალდებულებების ზრდა	2,335.4	7,290.4	5,278.9	5,124.0	4,990.1	-133.9	-2.6%	-288.8	-5.5%	-2,300.3	-31.6%
საგარეო	1,386.6	5,264.3	5,278.9	5,274.0	5,290.1	16.1	0.3%	11.2	0.2%	25.7	0.5%
საშინაო	948.8	2,026.1	0.0	-150.0	-300.0	-150.0	100.0%	-300.0		-2,326.1	-114.8%
გადასახდემები	13,469.7	16,174.6	18,384.5	19,498.7	19,796.1	297.4	1.5%	1,411.6	7.7%	3,621.5	22.4%
ხარჯები	9,975.5	12,533.9	12,758.3	13,898.9	14,232.1	333.1	2.4%	1,473.7	11.6%	1,698.2	13.5%
შრომის ანაზღაურება	1,454.7	1,543.1	1,614.7	1,636.9	1,640.9	4.0	0.2%	26.2	1.6%	97.8	6.3%
საქონელი და მომსახურება	1,301.9	1,529.2	1,606.7	1,798.9	1,851.7	52.9	2.9%	245.0	15.3%	322.6	21.1%
პროცენტი	604.5	763.7	918.0	868.0	798.0	-70.0	-8.1%	-120.0	-13.1%	34.4	4.5%
სუბსიდიები	489.7	837.1	649.7	858.0	858.3	0.3	0.0%	208.6	32.1%	21.2	2.5%
გრანტები	798.3	1,010.7	790.6	970.4	935.4	-35.0	-3.6%	144.8	18.3%	-75.3	-7.4%
სოციალური უზრუნველყოფა	3,946.6	5,343.2	5,361.9	5,655.3	6,003.3	348.0	6.2%	641.4	12.0%	660.1	12.4%
სხვა ხარჯები	1,379.8	1,507.0	1,816.7	2,111.5	2,144.5	33.0	1.6%	327.8	18.0%	637.5	42.3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,256.1	2,319.0	2,416.9	2,546.4	2,525.7	-20.8	-0.8%	108.8	4.5%	206.7	8.9%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	278.9	377.7	402.7	316.8	316.8	0.0	0.0%	-85.9	-21.3%	-60.9	-16.1%
ვალდებულებების კლება	959.2	944.0	2,806.6	2,736.6	2,721.6	-15.0	-0.5%	-85.0	-3.0%	1,777.5	188.3%
საგარეო	917.0	901.9	2,763.7	2,693.7	2,678.7	-15.0	-0.6%	-85.0	-3.1%	1,776.8	197.0%
საშინაო	42.2	42.1	42.8	42.8	42.8	0.0	0.0%	0.0	0.0%	0.7	1.7%
ნაშთის ცვლილება (+ დაბროვება / - გამოყენება)	-217.5	1,867.7	-1,626.4	-1,565.7	-1,697.0	-131.3	8.4%	-70.6	4.3%	-3,564.7	-190.9%

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

	2019 ფაქტი	2020 ფაქტი	2021 საწყისი	2021 დამბიძგებული	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამბიძგებული		2021 პროექტი / 2021 საწყისი		2021 პროექტი / 2020 ფაქტი	
						სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსავლები	10,675.0	10,490.4	11,179.2	12,249.0	12,549.0	300.0	2.4%	1,369.8	12.3%	2,058.7	19.6%
გადასახადები	9,665.6	9,364.8	10,342.3	11,062.6	11,362.6	300.0	2.7%	1,020.3	9.9%	1,997.8	21.3%
გრანტები	489.6	459.6	286.9	386.4	386.4	0.0	0.0%	99.5	34.7%	-73.1	-15.9%
სხვა შემოსავლები	519.8	666.0	550.0	800.0	800.0	0.0	0.0%	250.0	45.5%	134.0	20.1%
ხარჯები	9,975.5	12,533.9	12,758.3	13,898.9	14,232.1	333.1	2.4%	1,473.7	11.6%	1,698.2	13.5%
შრომის ანაზღაურება	1,454.7	1,543.1	1,614.7	1,636.9	1,640.9	4.0	0.2%	26.2	1.6%	97.8	6.3%
საქონელი და მომსახურება	1,301.9	1,529.2	1,606.7	1,798.9	1,851.7	52.9	2.9%	245.0	15.3%	322.6	21.1%
პროცენტი	604.5	763.7	918.0	868.0	798.0	-70.0	-8.1%	-120.0	-13.1%	34.4	4.5%
სუბსიდიები	489.7	837.1	649.7	858.0	858.3	0.3	0.0%	208.6	32.1%	21.2	2.5%
გრანტები	798.3	1,010.7	790.6	970.4	935.4	-35.0	-3.6%	144.8	18.3%	-75.3	-7.4%
სოციალური უზრუნველყოფა	3,946.6	5,343.2	5,361.9	5,655.3	6,003.3	348.0	6.2%	641.4	12.0%	660.1	12.4%
სხვა ხარჯები	1,379.8	1,507.0	1,816.7	2,111.5	2,144.5	33.0	1.6%	327.8	18.0%	637.5	42.3%
საოპერაციო სალდო	699.5	-2,043.5	-1,579.1	-1,649.9	-1,683.0	-33.1	2.0%	-103.9	6.6%	360.5	-17.6%
არაფინანსური ამტივების ცვლილება	2,162.9	2,220.9	2,266.9	2,196.4	2,175.7	-20.8	-0.9%	-91.2	-4.0%	-45.2	-2.0%
ზრდა	2,256.1	2,319.0	2,416.9	2,546.4	2,525.7	-20.8	-0.8%	108.8	4.5%	206.7	8.9%
კლება	93.2	98.2	150.0	350.0	350.0	0.0	0.0%	200.0	133.3%	251.8	256.6%
მთლიანი სალდო	-1,463.4	-4,264.4	-3,846.1	-3,846.3	-3,858.7	-12.4	0.32%	-12.6	0.3%	405.7	-9.5%
ფინანსური ამტივების ცვლილება	-87.1	2,082.0	-1,373.7	-1,458.9	-1,590.2	-131.3	9.0%	-216.5	15.8%	-3,672.2	-176.4%
ზრდა	278.9	2,245.4	402.7	316.8	316.8	0.0	0.0%	-85.9	-21.3%	-1,928.5	-85.9%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	1,867.7	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		-1,867.7	-100.0%
სესხები	278.9	377.7	402.7	316.8	316.8	0.0	0.0%	-85.9	-21.3%	-60.9	-16.1%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		0.0	
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		0.0	
კლება	366.0	163.4	1,776.4	1,775.7	1,907.0	131.3	7.39%	130.6	7.4%	1,743.7	1067.4%
ვალუტა და დეპოზიტები	217.5	0.0	1,626.4	1,565.7	1,697.0	131.3	8.4%	70.6	4.3%	1,697.0	
სესხები	148.5	163.3	150.0	210.0	210.0	0.0	0.0%	60.0	40.0%	46.7	28.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.04	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		-0.04	-100.0%
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0003	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		0.0	
მალდამუშავების ცვლილება	1,376.2	6,346.4	2,472.4	2,387.4	2,268.5	-118.9	-5.0%	-203.8	-8.2%	-4,077.9	-64.3%
ზრდა	2,335.4	7,290.4	5,278.9	5,124.0	4,990.1	-133.9	-2.6%	-288.8	-5.5%	-2,300.3	-31.6%
საშინაო	948.8	2,026.1	0.0	-150.0	-300.0	-150.0	100.0%	-300.0		-2,326.1	-114.8%
საგარეო	1,386.6	5,264.3	5,278.9	5,274.0	5,290.1	16.1	0.3%	11.2	0.2%	25.7	0.5%
კლება	959.2	944.0	2,806.6	2,736.6	2,721.6	-15.0	-0.5%	-85.0	-3.0%	1,777.5	188.3%
საშინაო	42.2	42.1	42.8	42.8	42.8	0.0	0.0%	0.0	0.0%	0.7	1.7%
საგარეო	917.0	901.9	2,763.7	2,693.7	2,678.7	-15.0	-0.6%	-85.0	-3.1%	1,776.8	197.0%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		0.0	

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2019 ფაქტი	2020 ფაქტი	2021 საწყისი	2021 დამბიძგებული	2021 პროექტი	2021 პროექტი / 2021 დამბიძგებული		2021 პროექტი / 2021 საწყისი	
							სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
00 00	სულ ჯამი	13,469.7	16,174.6	18,384.5	19,498.7	19,796.1	297.4	1.5%	1,411.6	7.7%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	63.8	54.0	64.7	64.7	64.7	0.0	0.0%	0.0	0.0%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	54.0	43.9	53.7	53.7	53.7	0.0	0.0%	0.0	0.0%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზღვარგარეთო საქმიანობა	17.2	15.9	19.7	19.7	19.7	0.0	0.0%	0.0	0.0%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	6.7	6.3	6.7	6.7	6.7	0.0	0.0%	0.0	0.0%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	30.2	21.6	27.4	27.4	27.4	0.0	0.0%	0.0	0.0%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	30.1	21.6	27.3	27.3	27.3	0.0	0.0%	0.0	0.0%
01 01 03 02	პერსონალის პროფესიული განვითარება	0.04	0.04	0.09	0.1	0.1	0.0	0.0%	0.0	0.0%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	9.3	9.0	9.6	9.6	9.6	0.0	0.0%	0.0	0.0%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.4	0.4	0.5	0.5	0.5	0.0	0.0%	0.0	0.0%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	0.0	0.7	1.0	1.0	1.0	0.0	0.0%	0.0	0.0%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	8.5	4.7	6.3	6.3	6.3	0.0	0.0%	0.0	0.0%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	0.7	0.6	0.7	0.7	0.7	0.0	0.0%	0.0	0.0%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	20.3	18.4	16.0	16.0	16.0	0.0	0.0%	0.0	0.0%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	15.9	13.5	16.8	16.8	16.8	0.0	0.0%	0.0	0.0%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	31.8	77.5	70.3	74.5	74.5	0.0	0.0%	4.2	6.0%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	11.8	11.7	13.8	13.8	13.8	0.0	0.0%	0.0	0.0%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.1	1.0	1.3	1.3	1.3	0.0	0.0%	0.0	0.0%
06 03	პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	14.2	14.3	14.3	14.3	14.3	0.0	0.0%	0.000	0.00%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	4.7	50.5	40.8	45.0	45.0	0.0	0.0%	4.2	10.3%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	3.9	3.5	4.3	4.3	4.3	0.0	0.0%	0.0	0.0%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	9.4	9.7	12.5	12.5	12.5	0.0	0.0%	0.0	0.0%
09 00	საერთო სასამართლოები	72.6	65.0	86.0	86.0	74.0	-12.0	-14.0%	-12.0	-14.0%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	70.9	63.6	84.1	84.1	72.1	-12.0	-14.3%	-12.0	-14.3%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	1.7	1.4	1.9	1.9	1.9	0.0	0.0%	0.0	0.0%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	4.3	4.5	6.5	6.5	6.5	0.0	0.0%	0.0	0.0%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	0.9	0.8	0.9	0.9	0.9	0.0	0.0%	0.0	0.0%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	0.6	0.6	0.7	0.7	0.7	0.0	0.0%	0.0	0.0%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	0.8	0.7	0.8	0.8	0.8	0.0	0.0%	0.00	0.0%

14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	0.7	0.6	0.8	0.8	0.8	0.0	0.0%	0.0	0.0%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	0.6	0.6	0.7	0.7	0.7	0.0	0.0%	0.0	0.0%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	0.6	0.5	0.6	0.6	0.6	0.0	0.0%	0.0	0.0%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	0.6	0.6	0.7	0.7	0.7	0.0	0.0%	0.00	0.0%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	0.8	0.8	0.9	0.9	0.9	0.0	0.0%	0.0	0.0%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	0.6	0.6	0.7	0.7	0.7	0.0	0.0%	0.00	0.0%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	135.9	136.3	137.5	137.5	137.5	0.0	0.0%	0.0	0.0%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	115.0	111.8	118.0	118.0	118.0	0.0	0.0%	0.0	0.0%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	20.9	24.5	18.5	18.5	18.5	0.0	0.0%	0.0	0.0%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	0.0	0.04	1.00	1.0	1.0	0.0	0.0%	0.0	0.0%
